ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №5

18 იანვარი 2016 წელი ქ. ქუთაისი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 10' მუხლის შესაბამისად.

ერთის მხრივ, „ააიპ ფოლკლორის ცენტრი-სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი", ცენტრის დირექტორის ზეინაბ ბურჯანაძის სახით. (მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №15, ტელ: 27-34-30), (შემდგომში „შემსყიდველი")

მეორეს მხრივ ააიპ „სპეციალური სერვისები" წარმოდგენილი მისი დირექტორის გელა გაგუას სახით (მისამართი: ქ.ქუთაისი, გუგუნავას ქ. №16 ტელ: 0431 26 57 36) (შემდგომში „მიმწოდებელი")

ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

1.1. ქუთაისის „ააიპ ფოლკლორის ცენტრი-სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი"-ს ტერიტორიიდან, ნარჩენების შეგროვებისა და ქალაქის ნაგავსაყრელზე გატანის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა.

1.2. ხელშეკრულების ღირებულება: 100 (ასი) ლარი.

1.3. კლასიფიკატორის კოდი: 90500000

2. ანგარიშსწორება

ანგარიშსწორება ხორციელდება მიმწოდებლის მომართვის საფუძველზე.

2.1 მიმწოდებლის მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს :

ა) ფაქტიურად განხორციელებული მომსახურების მოცულობა და ღირებულება;

ბ) მიღება-ჩაბარების აქტი.

2.2 ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო

2.3 ანგარიშსწორების ვადაა: დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღე.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები

3.1 შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადა განსაზღვრულია მასზე ხელისმოწერის დღიდან – 2016 წლის 28 თებერვლამდე.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება – ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

4.2 მიღება – ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს: გაწეული მომსახურების დასახელება და ღირებულება.

4.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების დამტკიცებას მოახდენს ქალაქ ქუთაისის ფოლკლორის ცენტრის-სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის დირექტორი ზეინაბ ბურჯანაძე.

5. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

5.1 დაუძლეველი ძალის გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

5.1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1 %.

5.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან

5.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში.

5.4 დაუძლეველი ძალის პირობებში.

6. მხარეთა უფლება მოვალეობები

6.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

7. სადაო საკითხების გადაწყვეტა

7.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

7.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

8. დაუძლეველი ძალა

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასრულების შემდეგ.

8.2 მხარე, რომელსაც შეექმნა დაუძლეველი ძალის გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს მეორე მხარეს ამის შესახებ.

9. გადასახადები და დაბეგვრა

9.1 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების დადებიდან 2016 წლის 28 მარტამდე..

10.2 ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი მიმწოდებელთან და 1 (ერთი) პირი შემსყიდველთან.

11. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ააიპ ფოლკლორის ცენტრი–სიმღერისა	ააიპ „სპეციალური სერვისები“
და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი	
მის: ქ. ქუთაისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №15	მის: ქ.ქუთაისი, გუგუნავას ქ. №16
მიმღები:ხაზინის ერთიანი ანგარიში	მიმღები:ხაზინის ერთიანი ანგარიში
ქ.თბილისი, „ სახელმწიფო ხაზინა“	ქ.თბილისი, „ სახელმწიფო ხაზინა“
ბ/კ TRESGE22	ბ/კ: TRESGE22
	ა/ა: 743 167 499
ს/კოდი: 212904712	ს/კ: 412704612
ააიპ ფოლკლორის ცენტრი–სიმღერისა	ააიპ „სპეციალური სერვისები“
და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის დირექტორი	
----------	----------
ზ.ბურჯანაძე	გ.გაგუა